დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21

2024 წლის 26 ივნისი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების **და** ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივლისის №15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/07/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016263) და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ვ'' ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა.''

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) ,,თ'' ქვეპუნქტი:

,,თ) უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ორგანიზებასა და მართვას;''

ბ) „ი" ქვეპუნქტი:

,,ი) უზრუნველყოფს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას."

მუხლი 2

1. ეს დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი